საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060192169361715

ბრძანება №-751

ქ. თბილისი **29 / სექტემბერი / 2015 წ.**

სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

„ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის № 179 დადგენილებით დამტკიცებული ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტისა და „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს თანდართული სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმა (დანართი №1).

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ტყის მართვის ორგანოსთვის მისი გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 3 აგვისტოს N06/14216 წერილი; ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმის პროექტის საჯარო განხილვის 2014 წლის 2 დეკემბრის ოქმი №2; სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი N19021 (18/09/2015).

მინისტრი გიგლა აგულაშვილი